572
965

1965 ივლისი

ყანწი

N7

572
71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუპები

გიორგი ხორგუაშვილი

ნახატები ზურაბ რაზმაძისა

დათო და ნიკო ტყუპის ცალები არიან. ერთმანეთს ისე ჰგვანან, რომელი-რომელია ხშირად დედასაც კი ეშლება ხოლმე. ბებიას ხომ ნუღარ იკითხავთ, სათვალეც აღარ შველის.

აი, რა მოხდა ერთხელ:

სახლის წინ პატარა ბაღი ჰქონდათ. ზაფხულის სიცხე აწუხებდა ხეხილს. ტოტებჩამოყრილ ხეებს წყალი სწყუროდათ. ნიკომ არხიდან პატარა სათლითა და წურწურათი წყალი მოზიდა და დაიწყო ბაღის მორწყვა. შუადღე გადასული იყო, როცა ნიკომ სამუშაო მოათავა და ტოლებისაკენ გასწია სათამაშოდ.

ნიკოს საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩათ. საღამო ხანს ბებიამ გადაწყვიტა გამრჯე ბიჭი დაესაჩუქრებინა, მაგრამ... ბებომ ნიკოს ნაცვლად დათოს მისცა ლოყაწითელი ატამი.

გახარებული ბიჭი იმ წუთას ეზოში გაიქცა.

ნიკოს გული დაწყდა და თვალცრემლიანმა თქვა:

— ბაღი დათომ კი არა, მე მოვრწყე და...

— უი, გენაცვალოს ბებია, შემეშალა? აი, ლოყაწითელი ატამი შენთვისაც მაქვს!—უთხრა ბებიამ ნიკოს და კალთაში ჩაისვა.

9250

ცხვარი

გივი ჭიჭინაძე

ბიჭი: თეთრო ცხვარო,
ჰქენი მადლი;
მომეც რძე და
ბევრი მატყლი!

ცხვარი: თუ გსურს მადლი
დაგანახო,
არ მომაკლო
საბალახო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი

ზაფხული

ავიკიდეთ ზურგჩანთები,
დავიკიდეთ მათარა.
უკან მოგვდევს მურიკელა
ღრენია და დანდალა.

თამუნია დაგველაღა,
ცხენზე შესვა სანდალამ.
ფეხშიშველა ფეხებს გვიწვავს,
მიწა ისე გამთბარა.

ახლოსა ვართ საქართველოს
მოკამკამე ცასთანა,
ყანებში და ყვავილებში
მზე გვიცინის ცხრათვალა.

მთიდან წყარო მორაკრაკებს
თვალციმციმა ანკარა,
ზაფხულია, ზაფხულია,
ზაფხულია, თაკარა.

შველის ნუკრი

ცხოვრობდა ტყეში მშვიდად,
დაკუნტრუშებდა ღაღად,
ჰაერს სუნთქავდა წმინდას
მზეს უყურებდა მაღალს.

დილით ცივ წყაროს სვამდა
და ცვრიან ბალახს სძოვდა,
თვითონაც წყაროს ჰგავდა,
თვალიც წყაროსი ჰქონდა.

მაგრამ ესროლეს ერთხელ,
ჩუხჩუხა წყაროს წინა,
და მოეკეცა მუხლი
საწყალს და პაწაწინას.

ვერ მიმხვდარა და უკვირს,
წყარო წითლდება სისხლით...
და პაწაწინა ნუკრის
თვალი ევსება ნისლით.

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი ბოლქვაძე

ნახატები ედ. ამბოკაძისა

ფისო და მურა წაიჩხუბნენ; მურამ თათით დატორა ფისო, რატომ შეაშინე წიწილაო.

— მიაუ, შენ ვინ გკითხავს ღრენია, მე გავეთამაშე, იმას შეეშინდა.

ფისომ ზურგი აწურა, ბეწვები აებურძგლა.

— უჰ, საძაგელო!—დაჩხავლა მურას, მერე თათი გაიქნია, კლანჭის გამოკვრა უნდოდა.

— უყურეთ ერთი, რას მიბედავს, ღრ-ღრ-ღრ!—ძალიან გაბრაზდა მურაც და ფისოზე მიიწია.

ფისო განზე გახტა, მურა გამოედევნა.

ფისო ხეს ეცა და ხელად ზედ მოექცა.

— ჰამ, ჰამ, ჰამ, თუ ბიჭი ხარ ძირს ჩამოდი, მანდ რომ შესკუპდი და იმალები, მშიშარა!—ასძახა მურამ ფისოს.

— თუ ბიჭი ხარ, შენ ამოდი ზევით, აქ ვიჩხუბოთ!—ჩამოსძახა ფისომაც ზევიდან.

არც ფისო ჩამოვიდა ხიდან და არც მურა ავიდა ხეზე.

იჯდა მურა ხის ქვეშ, ფისო ჩამოვა და გავუსწორდებიო.

იჯდა ხეზე ფისო და დაბლა ჩამოსვლას არ აპირებდა, მურასი ეშინოდა.

მოსწყინდა მურას ხის ქვეშ ჯდომა, ადგა და სხვა მურასთან გაიქცა სათამაშოდ.

ფისოსაც მოსწყინდა ხეზე ჯდომა და მურა რომ შორს გაიგულა, ხიდან ჩამოვიდა.

საღამოს ისევ შეხვდნენ მურა და ფისო ერთმანეთს, მაგრამ უკვე აღარ ახსოვდათ დღევანდელი ჩხუბი და ერთადაც კი დაიძინეს.

ნუნუ კერესელიძე

ცაო, ცაო, მზისთვალაო,
მზიამ შემოგითვალაო,
ყვავილები დაგიკრიფეთ
ენძელა და ცისთვალაო,
მოვალთ, მოვალთ, მოვფრინდებით,
მე, ლია და ცისანაო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

GENYS

ჩემი ლიტვური მეგობარი

არ ვიცი, რა გქვია შენ, ან რამდენი წლისა ხარ. არ ვიცი, სკოლაში სწავლობ, თუ ისევ საბავშვო ბაღში დადიხარ. მაგრამ ვიცი, რომ მე და შენ მეგობრები ვართ. შენ საქართველოში ცხოვრობ, მე კი—ლიტვაში. შენ ქართულად ლაპარაკობ, მე კი—ლიტვურად, მაგრამ მაინც მეგობრები ვართ. მამა ამბობს, რომ მამაშენს კარგად იცნობს, ამიტომ მინდა, ჩვენც კარგად ვიცნობდეთ ერთმანეთს. იცი, მამაჩემი ვინ არის?—მშენებელია. იგი ჩვენს დედაქალაქს—ვილნიუსს აშენებს. ვილნიუსი ძალიან ლამაზი ქალაქია და ძალიან მიყვარს. წინათ კაუნასში ვცხოვრობდით. კაუნასი ვილნიუსის მერე, მეორე ქალაქია. მე ძმა მყავს, მას იონასი ჰქვია, ქართულად—ვანო. ამ ზაფხულს მე და ჩემი ძმა ნიდაში მივდივართ. იცი, რა კარგი აგარაკია?! იქ, სადაც თავდება ტყე, ქვიშის მთები იწყება. ამ მთებიდან ჩამოსრიალებაც შეიძლება. ქვიშა პირდაპირ ზღვის ტალღებში შეგაცურებს. იქ კი უამრავი ქარვაა. ფაბრიკებში ქარვისაგან ლამაზ ნივთებსა და სამკაულებს აკეთებენ. ხალხი მას ოქროსავით აფასებს. როცა ჩვენთან ჩამოხვალ, ზღვის პირას წაგიყვან და გაჩვენებ, ყოველ დღე ტალღები რამდენ ქარვას გამორიყავს ხოლმე, ამიტომ ჩვენს ლიტვას ქარვის მხარეს უწოდებენ.

ახლა ხომ უკვე იცი, ჩემო მეგობარო, სად ვცხოვრობ მე. როცა ერთმანეთს შევხვდებით, მაშინ შენს ქვეყანაზე მიამბე. ახლა კი „ვისო გიარო!“—ასე ვამბობთ ხოლმე დამშვიდობებისას.

შენი მეგობარი ჟალდოსი

ლიტვური მასალები მოამზადა და თარგმნა
ლეილა ერაძემ

ნახატი ეგლუტე ვალიუტესი, 10 წლის. ქ. ვილნიუსი.

რა ქალაქია

რომას კაშაუსკასი

ანდრიუკასმა ეზოში ქვიშის ქალაქი ააშენა: გაიყვანა ქუჩები, შემოხაზა მოედნები, დარგო ხეები. ამ ქალაქში ტროლეიბუსებიც კი დადიან.

— მამა, მამა!—დაიძახა ანდრიუკასმა,—ნახე, როგორი ქალაქი ავაშენე!

მამამ ფანჯარაში გაიხედა და ჰკითხა:

— რა ჰქვია შენს ქალაქს?

— რა ჰქვია და ვილნიუსი.

— მერე, ვილნიუსს რომ არ ჰგავს! დაემსგავსებოდა, მაგრამ ერთი რამ აკლია.

— რა აკლია, მამიკო?—ჰკითხა ბიჭუნამ.

— შენ თვითონ მოიფიქრე!

ანდრიუკასმა იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. ის ხომ არასოდეს ეოფილა ვილნიუსში. თუმცა წიგნში დასახტული კი უნახავს. ანდრიუკასმა ნიჩაბს დაავლო ხელი, მთა აღმართა და მთაზე ციხე-კოშკი წამოჯიმა. მერე დროშა გამოჭრა და სამფრად შეღება—წითლად, თეთრად და მწვანედ. ეს დროშა ციხის თავზე დაამაგრა.

ეზოში ბავშვებმა მოირბინეს.

— შეხედეთ,—თქვეს მათ,—ანდრიუკასს ვილნიუსი აუშენებია!

მხატვარი ს. ვალიუვიენე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებიას სტუმარი

ლიტვური ხალხური ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სულელი ბიჭი.

ერთხელ მამამ ბიჭუნა ბებიასთან გაგზავნა. როცა უკან დაბრუნდა,

მამამ ჰკითხა:

— შვილო, რა მოგცა ბებიამ?

— რას მომცემდა? ნემსი მომცა.

— მერე, რა უყავი?

— შინისაკენ მოვდიოდი და გზად თივის ზვინს ჩავუარე. ნემსი თივაში დავმალე და მერე ბევრი ვეძებე, მაგრამ ველარ ვიპოვე.

— ეჰ, შე სულელო, — უთხრა მამამ, — ნემსი ქუდში უნდა გაგერჭო და აღარ დაგეკარგებოდა.

— კარგი, მამიკო, — უპასუხა ბიჭმა, — ჭკუას ვისწავლი!

მეორე დღეს მამამ ბიჭუნა კვლავ გაგზავნა ბებიასთან.

— რა მოგცა ბებიამ? — ჰკითხა მამამ დაბრუნებისთანავე.

— რას მომცემდა? ლეკვი მაჩუქა.

— მერე, რა უყავი?

— როგორც დამარიგე, ისე მოვიქეცი. ლეკვს თავი ქუდში ჩავაყოფინე და გაიგუდა.

— ეჰ, შე სულელო, — უთხრა მამამ, — ლეკვისთვის კისერზე თოკი უნდა მოგება და ისე წამოგეყვანა. თან დაუწრუპუნებდი: მპუ, მპუ, მპუ-თქო და წამოგყვებოდა.

— კარგი, მამიკო, ჭკუას ვისწავლი.

ბიჭუნა ისევ წავიდა ბებიასთან. როცა დაბრუნდა, მამამ ჰკითხა:

— აბა, მითხარი, რა მოგცა ბებიამ?

— რას მომცემდა? ლორი მომცა.

— მერე, რა უყავი?

— როგორც დამარიგე, ისე მოვიქეცი. თოკი მოვაბი და გზაზე მოვათრევდი, თან ვუწრუპუნებდი. მოცვივდნენ ძაღლები და სულ შემისანსლეს.

— ეჰ, შე სულელო,—უთხრა მამამ,— ლორი ნაჭრებად უნდა დაგეჭრა, მერე ტოპრაკში ჩაგეწყო და ზურგზე წამოგეკიდებინა. სახლამდე უდარდელად მოიტანდი.

— კარგი, მამიკო, სხვა დროს მეცოდინება.

მამამ კვლავ გაგზავნა შვილი ბებიასთან.

— რა მოგცა, ბებიამ?—ჰკითხა მამამ დაბრუნებისას.

— რას მომცემდა? ბოჩოლა გამომაყოლა.

— მერე, რა უყავი?

— როგორც დამარიგე, ისე მოვიქეცი: თავი მოვჭერი, ტანი ნაჭრებად ვაქციე, ტომარაში ჩავაწყვე და ზურგით მოვიტანე.

— ეჰ, შე სულელო, აქ უნდა მოგეყვანა, ბოსელში შეგეგდო და თივა დაგეყარა.

— კარგი, მამიკო, სხვა დროს ასე მოვიქცევი!

ისევ წავიდა ბიჭი ბებიასთან. როცა დაბრუნდა, მამამ ჰკითხა:

— შვილო, რა მოგცა, ბებიამ?

— რას მომცემდა? გოგონა ონიტე გამომაყოლა.

— სად არის?

— როგორც დამარიგე, ისე მოვიქეცი. ონიტე ბოსელში შევაგდე და თივა დავუყარე.

გაბრაზდა მამა. სულელ ვაჟიშვილს უყვირა და უყვირა. მერე ონიტე შინ შეიყვანა და თაფლითა და პურით გაუმასპინძლდა. სულელი ბიჭი კი ბებიასთან აღარასოდეს გაუგზავნია.

ნახატები ა. სურგაილენესი

GENYS

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა

იანინა დეგუტიტე

ღრიალებენ ტალღები,
ნაპირს ეხეთქებიან,
ეს რა ბრწყინავს ქვიშაში
ქარვაა თუ ქვებია?
ზღვაო, ერთი თხოვნა გვაქვს,
შეგვისრულე პატარებს:
ჩვენსკენ ოქროს თევზებიც
ქარვას გამოატანე!

და-ძმა

ვიტაუტას ბარაუსკასი

ერთხელ რასამ შინ მოირბინა და რას ხედავს: საულუკასს მისი წიგნი „საულუტე" იატაკზე დაუდევს და ფურცლავს; ხელები კი ხულ მთლად გამურული აქვს. გოგონა გაბრაზდა! ჩემს „საულუტეს" ხომ დამისვრის, რას იტყვის მერე მასწავლებელი?

როგორც კი თავისი დაიკო დაინახა, საულუკასი მოემზადა, წიგნს ხელი დახტაცა და გულზე მიიხუტა.

— არ მოგცემ, არა!—ამბობდა ბიჭი.

რასა ძმისაკენ მუქარით გაიქცა. მაგრამ გაახსენდა, რომ ოქტომბრელია. „ოქტომბრელს კი ასეთი საქციელი არ შეეფერება",—გაიფიქრა გოგონამ და უცებ დამშვიდდა.

— საულუკ,—მიმართა ძმას მშვიდობიანად,—წიგნი თავის ადგილას დადე, ხელები დაიბანე და სურათებს მე თვითონ დაგათვალიერებინებ, კარგი?

საულუკასს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა. ასე წყნარად და წესიერად თავისი დაიკო არასდროს დალაპარაკებია. ჰოდა, ადგა და წიგნი თავის ადგილას დადო.

ბავშვებო, რა მოუვიდოდა „საულუტეს", რასას რომ თავი არ შეეკავებინა და საულუკასს საცემრად მივარდნოდა?!

მხატვარი ადა სკლიუტაუსკაიტე

ჯ. კუბილინსკასი

ხვალიდან ჩემი ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა
GENYS

დილით სუფთა ფეხსაცმელს
ვინ მახვედრებს ნეტავ?—
ვინ იქნება, თუ არა,
საყვარელი დედა.
დედა ძლიერ იღლება,
მოფრთხილება უნდა,
ჩემს ფეხსაცმელს ხვალიდან
მე მოვუვლი მუდამ.

მე დიდი ვარ უკვე,
გავიზარდე სწრაფად,
ძლიერ მიყვარს ჩაი
და რძიანი ფაფა.
მიყურებენ შურით
მურია და კატა,
ჩემი ხელით რომ ვჭამ,
უფრო გემოს ვატან.

მხატვარი ი. მარგინაიშვილი



რაც მოგივა დავითაო...

მხატვარი იოზას კასჩიუნასი



მაყვალა მრეველიშვილი ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კაი კაცია

აჯაჯული, დაჯაჯული
დაბრძანდება ბაჭია,
ჩხუბი იცის ვაქკაცური,
დაიჯაბნა პაწია.
თავის ტოლებს მოერიოს,—
ეგ თუ კაი კაცია!

კოჭობი დუღს პაწია,
ეგ ყოფილა კვაწია,
შიგ ლობიოს ამოზელს
კვანწი-გოგო კვანწია.

კ. გოგიაშვილი

შალაშინი

მალხაზი ახალ ბინაში მთელი დღე ხელოსნების მუშაობას უყურებდა.

მეორე დღეს მამას სთხოვა:

— მამა, მიყიდე რა, შალაშინი!

— აუცილებლად!—შეჰპირდა მამა.

როცა გიორგი სამსახურიდან დაბრუნდა, მალხაზი მაშინვე მივარდა:

— მამა, შალაშინი მომიტანე?

— უჰ, დამავიწყდა, შვილო!

ასე რამდენჯერმე განმეორდა.

ერთხელ, როცა გიორგი სალამოს შინ მივიდა, მალხაზმა აღარაფერი ჰკითხა, საწერ მაგიდიდან საშრობი აიღო, ხელში მოიმარჯვა და მამის შესახედავად სათამაშო ფიცარს შალაშინივით გაუსვ-გამოუსვა.

გიორგიმ აღარაფერი უთხრა, შვილის საქციელზე გაიღიმა, მაშინვე გაბრუნდა და სულ მალე მალხაზს პატარა ლამაზი შალაშინი მოუტანა.

ჩაძირული მელი

ზურაბ ლეშკაშელი

ნახატი ზურაბ მეძმარიაშვილისა



მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები ოთხ წელიწადში ერთხელ თავს იყრიან ხოლმე რომელიმე ქვეყანაში და ერთმანეთს ეჯიბრებიან სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ასეთი შეჯიბრება პირველად ძველმა ბერძნებმა ჩაატარეს დიდი ხნის წინათ ქალაქ ოლიმპოში. ამიტომ ამ ასპარეზობებს ახლაც ოლიმპიური თამაშები ეწოდება.

1956 წელს ოლიმპიური თამაშები შორეულ ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ჩატარდა, სადაც ოქროს მედალი მოიპოვა 19 წლის მოსკოველმა ნიჩბოსანმა ივანოვმა. მან უკან ჩამოიტოვა ამერიკელთა, ინგლისელთა, გერმანელთა ნავები, პირველი მივიდა ფინიშთან და ტბაში ღრმად შეჭრილ ფიცარნაგთან მიაყენა ნავი. ტრიბუნებზე ტაში ქუხდა, გამარჯვებულთან მსაჯი მივიდა, ხელი ჩამოართვა და ნავში მდგომ ივანოვს მედალი გადასცა. ამ დროს ტალღამ ნავი შეატორტმანა, ივანოვმა თავი ვეღარ შეიკავა, მედალი ხელიდან გაუვარდა და წყალში მოადინა ტყაპანი. შეწუხდნენ მაყურებლები. შეშფოთდა მსაჯი. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ასეთი საპატიო ჯილდო თვალსა და ხელს შუა დაკარგა კაცმა!

წყალი იმ ადგილას ღრმა იყო და მედლის ამოღების იმედი აღარავის ჰქონდა. ყველა საგონებელში იყო ჩავარდნილი. ამ დროს საიდანღაც ფიცარნაგზე ორი ბიჭი გამოვიდა. თვალის დახამხამება ვერავინ მოასწრო, ბიჭებმა ტანთ გაიძვრეს და თავდაყირა გადაეშვნენ წყალში.

გავიდა ოციოდე წამი და ტბის ზედაპირზე ორი ქერა თავი გამოჩნდა. ღრმად ჩაისუნთქეს ჰაერი და კვლავ წყალში გაუჩინარდნენ. ასე ყვინთავდნენ კარგა ხანს. ბოლოს, მეშვიდედ რომ ამოყვინთეს, ერთ-ერთმა მათგანმა ჰაერში გაიქნია მუშტი და დაიძახა:

— აქა მაქვს, აქა მაქვს!..

დაქანცული ბიჭები ძლივს ამოხოხდნენ ფიცარნაგზე და სახეგაბადრულებმა ბრჭყვიალა მედალი გამარჯვებულს ჩააბარეს. იგრიალა ტაშმა. გახარებულმა ივანოვმა მკერდში ჩაიკრა ბიჭები.

იმ საღამოს, ივანოვმა ყოჩაღი ბიჭუნები სტუმრად მიიწვია, დაასაჩუქრა და ყელზე ორთავეს წითელი ყელსახვევი გაუკეთა.

ყველას ვალი

ჭაბუა ამირეჯიბი

არაკი

ნახატები იური ქლიბაძისა

მთვრალი ხარაბუზა ტყე-ტყე მიბორიალობდა, ჩხუბს ეძებდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა ქალამნად. ქინქლა ბუზებს წააწყდა და შეუტია:

— თავ-პირი უნდა დაგალეწოთო!

— რისთვის, ბატონო ხარაბუზა, რას გვერჩითო?—გაუკვირდათ ქინქლებს.

— ასეთი სურვილი მაქვსო!—ხარაბუზამ ქულაჯა გაიძრო და ქინქლებს კეტით დაერია.

ხეზე ჩხიკვი იჯდა. ფეხი ფეხზე შემოედო, სიცილით კვდებოდა, ეს რა საინტერესო დაკა-დაკას ვხედავო!

— არიქა, გვიშველეთ, ხარაბუზამ დაგვხოცაო!—იყვირეს ქინქლებმა.

ყვირილზე გომბეშომ მოირბინა; ხარაბუზა შეშინდა, კეტი ხელიდან დაუვარდა. გომბეშომ თვალები გადმოკარკლა და ხარაბუზას შეუყვირა:

— გალეშილხარ, ქინქლებს დარევიხარ, შე ასეთ-ისეთო, შენაო! ახლავე ბოდიში მოუხადე და აქედან დაიკარგე. მეორედ ალარ იჩხუბო, თორემ, ხარაბუზებს მე საერთოდ არ გიახლებით, მაგრამ გამონაკლისის სახით გადაგყლაპავო!

ხარაბუზამ ქინქლებს ბოდიში მოუხადა და იქაურობას გაეცალა.

გომბეშო ახლა ჩხიკვს მიუბრუნდა:

— მანდ რომ ჩამოსკუპებულხარ, ქალბატონო ჩხიკვო, დროზე ვერ გააშველეთ?!

ჩხიკვმა მუხლის კვერებზე კაბა ჩამოიფარა და მხრები აიჩეჩა:

— მე ხომ არავინ მირტყამდა, რა ჩემი საქმეაო?!

— რა ჩემი საქმეაო? ეგ სიტყვები წინ დაგხვდება, შე უსირცხვილო, შენაო! ერთად ვცხოვრობთ და ყველა ჩვენგანი მოვალეა ჩაერიოს, როცა უსამართლობა ხდებაო!—გაჯავრდა გომბეშო.

ჩხიკვს სასაცილოდ არ ეყო. სხვა ხეზე გადაფრინდა და რა დაინახა:

ხოჭოს შინისაკენ მზეზე შემჭკნარ-შეშაქრებული მარწყვი მიჰქონდა. წინ ჭრელ ჩოხაში გამოწყობილი კრაზანა გადაუდგა:

— ეგ მარწყვი ძალიან ტკბილი ჩანს და აქ მომეციო!

— ერთი ბოგანო ხოჭო ვარ, ბატონო კრაზანავ, მარწყვს ნუ წამართმევ, შვილებს ნუ დამიმშევო!—შეემუდარა ხოჭო.

კრაზანამ ხახიდან ხანჯალი ამოაცურა.

— მარწყვი დადე, თორემ, გავჯავრდები და მაგ დაგლეჯილ ქალამნებსაც დაგხდიო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არიქა, მძარცვავენო!—იყვირა ხოჭომ.

კრაზანამ იერიში მიიტანა, ხოჭო საზარელ დღეში ჩააგდო.

ჩხიკვმა, ვითომც აქ არაფერიაო, თმის ვარცხნას მიჰყო ხელი.

ხოჭოს ყვირილი ზღარბმა გაიგონა, ელვის სისწრაფით მოიჭრა.

კრაზანას ზღარბისა ისე შეეშინდა, რომ ხანჯალი ყელში გადასცდა. ზღარბი აიბურძგნა, კრაზანას შეუყვირა:

— მარწყვი თუ მოგინდა, ავაზაკო კრაზანავ, ხელი გაანძრიე და იშოვნეო! ხოჭოს ნაოფლარს ართმევ, ქვეყანა ჩალით დახურული გგონიაო?! აქედან დაიკარგე და ავაზაკობა მოიშალე, თორემ, კრაზანებს მე საერთოდ არ გიახლები, მაგრამ გამონაკლისის სახით შეგახრამუნებო!

კრაზანა ფეხაკრეფით გაიპარა.

ზღარბი ახლა ჩხიკვს მიუბრუნდა:

— მანდ რომ ჩამოსკუპებულხარ, ქალბატონო ჩხიკვო, ამ ავაზაკ კრაზანას ჭკუა დროზე ვერ ასწავლეო?

ჩხიკვმა მხრები აიჩეჩა:

— მე ხომ არავინ მძარცვავდა, რა ჩემი საქმეაო!

— რა ჩემი საქმეაო? ეგ სიტყვები წინ დაგხვდება! ერთად ვცხოვრობთ და ყველა ჩვენგანი მოვალეა ჩაერიოს, როცა უსამართლობა ხდებაო!—გაჯავრდა ზღარბი.

ჩხიკვს სასაცილოდ არ ეყო, ძირს ჩამოვიდა, გაისეირნა და გამოისეირნა.

ამ სეირნობაში მელა მიეპარა და კუდში ჩააფრინდა. ჩხიკვი ისე შეშინდა, რომ ენა ჩაუვარდა.

— ნუ ღელავ, ჩემო ჩხიკვუნიავ,— უთხრა მელამ,—ისე ნაზად გადაგსანსლავ, რომ სრულიად არაფერი გეტკინებაო.

— მიშველეთ, ხომ ხედავთ, შემჭამაო!—შეემუდარა ჩხიკვი ზღარბს და გომბეშოს.

— ახია შენზე, შეგჭამოს, რა ჩვენი საქმეაო!—მიუგეს მათ.

— ოღონდ ახლა გადამარჩინეთ და როგორი ჩხიკვობაც გავწიო, მერე ნახეთო!

— ჯერ არ გადასანსლო, უნდა მოვითათბიროთო!—უთხრა ზღარბმა მელას.

ზღარბმა და გომბეშომ ითათბირეს და ჩხიკვს უთხრეს:

— ამჯერად დაგეხმარებით, მაგრამ თუ ისევ ისეთი ჩხიკვობა გაგიწევია, იმედი ნულარავისი გექნებაო!

მელიამ ჩხიკვს ყბა შეუშვა და გულდაწყვეტილი წავიდა.

ჩხიკვი სიტყვას დღესაც პირნათლად ასრულებს: თუ უსამართლობას წააწყდა, ყველას ეძახის, არიქა, ჩავერიოთო! ასე გასინჯეთ, ტყეში მონადირეს რომ დაინახავს, თავს დასტრიალებს და საქვეყნოდ გაჰყვირის:

— მეგობრებო, საფრთხე მოგელით, თავს უშველეთო!

ყვანჩალა

გურამ კლდიაშვილი

ყვაო,
ყვაო,
ყვანჩაღა,
რად ხარ ასე ღაჩარი,
თუ ბიჭი ხარ, ძირს ჩამო,
მაღლიდან
რომ
დამჩხავი!

ფინჯანი

ლ. ბოჩკოვა

ნახატები **დიმიტრი ზარაფიშვილისა**

უფროს ჯგუფში ოცდახუთი ბავშვი იყო. მათ ოცდაოთხი ახალი ფინჯანი ჰქონდათ. დიახ, ცისფერი ყვავილებით მოხატული და ოქროს ვარაყით დამშვენებული ოცდაოთხი ფინჯანი. ოცდამეხუთე ფინჯანი კი ძველი იყო. ერთ ადგილას კიდე ოდნავ ჩამოტეხოდა, ხმარებისაგან ფერები გადასცლოდა და ველარც კი გაარჩევდით, რა იყო ზედ დახატული.

ამ ფინჯანს ყველა თავს არიდებდა, მაგრამ მიუსხდებოდნენ თუ არა სუფრას, იგი უთუოდ ერთ-ერთი მათგანის წინ აღმოჩნდებოდა.

— მალე მაინც გატყდებოდეს ეს უშნო ფინჯანი,—ბუზღუნებდნენ ბავშვები.

მაგრამ აი ერთხელ, ჯგუფის მორიგემ პატარა ლენამ ჩაი ყველას ახალი ფინჯნებით ჩამოურიგა.

— სად გაქრა ძველი ფინჯანი?—გაოცდნენ პატარები.

ხომ არ ფიქრობთ, რომ ფინჯანი გატყდა ან დაიკარგა? არა, ლენამ ფინჯანი თვითონ დაიდგა.

ამჯერად ბავშვები წყნარად საუზმობდნენ, არ ჩხუბობდნენ, აღარც ტიროდნენ.

«ყოჩაღ, ლენა, ისე მოახერხა, რომ ყველანი კმაყოფილნი დავრჩით»,—ფიქრობდნენ ისინი.

მას შემდეგ მორიგეები ჩაის მუდამ ძველი ფინჯნიდან სვამდნენ. ასეც შეარქვეს,—«ჩვენი მორიგე ფინჯანიო».

თარგმნა **ეთერ თევზარაძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუდიანი

არჩილ ჯანაშვილი
პროფესორი

დიდ ტყეში მრავალი უცნაური ცხოველი ბინადრობს. ზოგი მათგანი კუდს ხელივით ხმარობს და ტოტიდან ტოტზე, ხიდან ხეზე კუდის დახმარებით გადადის.

ქამელეონი თავის გრძელ კუდს ხის ტოტზე რამდენჯერმე შემოახვევს და ისე მიეკვრება, ტოტი თუ არ მოვტეხეთ, ხიდან ვერ ჩამოვაგდებთ; ან დიდი ძალა უნდა ვიხმაროთ, რომ კუდი „გავუხსნათ“.

ოპოსუმიც ასეთივე ცხოველია. იგი ამერიკაშია გავრცელებული. ოპოსუმს ზოგჯერ ჩანთოსან ვირთაგვასაც უწოდებენ. ისიც კუდით ხეს ეჭიდება, შვილებიც კუდით გადაჰყავს; მიადგებიან ღლაპები დედის კუდს და თავიანთი პატარა კუდებით ჩურჩხელებივით დაეკიდებიან. მერე, იცით რამდენი არიან! ზოგჯერ ოპოსუმს ცხრამეტი შვილი ჰყავს. ვიდრე არ წამოიზრდებიან და დამოუკიდებელ ცხოვრებას არ მიეჩვევიან, ისინი დედას თან დაჰყავს.

სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში მოსაჭიდკუდიანი მაიმუნები ბინადრობენ. ამ მაიმუნების ოთხივე კიდური ხელის ფორმისაა და ამიტომაც ზოგჯერ მათ „ოთხხელა“ ცხოველებს უწოდებენ.

მოსაჭიდკუდიანი მაიმუნი კაპუცინი ალბათ ხშირად გინახავთ ზოოპარკში.

კაპუცინის კუდის ქვედა მხარე ტიტველია. ასეთი კუდით ცხოველი ადვილად ეკიდება ხის ტოტს და მასზე ქანაობს, ზედ ისვენებს ხოლმე, ან ტოტიდან ტოტზე გადადის. ამგვარად კუდი თავისებური კიბის როლს ასრულებს. კაპუცინს შეუძლია კუდი ჩაჰყოს ხის ფუღუროში, ამოიღოს ფრინველის კვერცხი და შეჭამოს. ასე რომ კაპუცინი კუდს, ხელივით მარჯვედ ხმარობს.

ნახატი ედ. ამბოკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი გოგონა ნატოსი და თოჯინა კატოსი

„ვესიოლიე კარტინკიდან"

საცერი

გიორგი წერეთელი

გობს საცერმა შესჩივლა:
— იფნის თხელი ტკეჩი ვარ,
შემკრეს დაირასავით,
ხელებს მცემენ გვერდშია,
ფქვილი შენ და ქატო მე,
სხვას ვაჭმევ და მე მშია.
თუ სიკეთეს ჩავდივარ,
ცემას რაღას მერჩიან?
ასეთ უსამართლობას
ტყეში ყოფნა მერჩია!

მომღერალი

ნოდარ შამანაძე

ბიჭო, ბიჭო, ჭიბღერაო,
ვინ გასწავლა სიმღერაო?!
მოდიხარ და მოიმღერი,
ხმები თაფლად იღვრებაო;

მიხარია, მიხარია,
გულის კარი იღებაო,
იქნებ დედა-საქართველო!
შენც შემატო დიდებაო.

ოქროს კრუხი

ნახატები თ. მირზაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო მანჯგალაძე

საბძლის ერთ კუთხეში შავგუდა კრუხი მოკაკათებულა. წიწილები კი დარბიან, წივიან და თან საჭმელს კენკავენ. ერთი მათგანი დედის ზურგზედაც კი შესკუპებულა.

ამ დროს, საბძლის მეორე კუთხიდან თავის წიწილებთან ერთად, ჭრელგუდა კრუხი გამოჩნდა.

— დიდამშვიდობისა, მეზობელო! — მიესალმა ჭრელგუდა.

— გაგიმარჯოს, მაგრამ აქეთ ფეხი არ გადმოდგა, აქ ჩვენთვისაც ცოტაა საკენკი, — უპასუხა შავგუდამ.

— შე კაი ქალო, ეს კალო ახლახან გაღეწეს, რამ შეგაშინა, საკენკი თქვენც გეყოფათ და ჩვენც!—უთხრა ჭრელგუდა კრუხმა მეზობელს.

ეს როგორ მაკადრაო, გაბრაზდა შავგუდა და ეცა ჭრელგუდას. კრუხებმა თავგამოდებული ჩხუბი დაიწყეს, შეშინებული წიწილები ერთად მოქუჩდნენ და გაუთავებელ წივილს მოჰყვნენ.

მოულოდნელად დიდმა ძერამ ჩამოიქროლა. შავგუდამ საშინელი ტკივილი იგრძნო ზურგში. ის იყო ძერა შავგუდას ჰაერში ატაცებას აპირებდა, რომ ჭრელგუდამ მაგრად ჩასცხო თავში ნისკარტი. ძერას თავბრუ დაეხვა, შეშინებულმა კრუხს კლანჭები შეუშვა და სწრაფად გაფრინდა.

ის დღე იყო და ის დღე. კრუხები დამეგობრდნენ და ყოველ დღე ერთად დაატარებდნენ თავიანთ პაწია წიწილებს კალოზე სასეირნოდ.

ИНДЕКС
76055

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



„ᲬᲚᲐᲠᲑᲘ ᲢᲧᲔᲨᲘ“ ნახ. ნინელი ჭანკვეტაძისა, 7 წლის. ცხაკაია, სოფელი უშაფათი.



„ᲑᲚᲘᲡ ᲙᲣᲜᲬᲣᲚᲐ“ ნახ. გიორგი ხახანბერიძისა, 9 წლის, თბილისი.

„ᲒᲔᲛᲘ“ — ნახ. გია გეგეშიძისა. 5 წ. თბილისი.

„ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ“ ნახ. გია ბულაძისა 8 წ. თბილისი

რედაქტორი ᲯᲐᲜᲘᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲮᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ: Გ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, Კ. ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ჯ. ᲚᲝᲚᲣᲐ, ᲛᲐᲫ. ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ჯ. ᲜᲘᲜᲣᲐ, Ш. ᲪᲮᲐᲓᲐᲫᲔ (ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ), Ნ. ᲬᲣᲚᲔᲘᲡᲙᲘᲠᲘ (ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ), Р. ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲩ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲧᲓᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲕᲐᲥᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲡ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ш. ᲠᲝᲚᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲪᲓᲐᲛᲔᲗᲔᲒᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲬᲔᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲐ „ᲜᲐᲪᲐᲓᲣᲚᲘ“, ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. ᲨᲔᲙᲕ. № 296, ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲕ. № 1071, ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 42.000, ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲭᲓᲐᲓ 27/IV 1965 Წ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14

„ЛИЛА“ на грузинском языке. Тбилиси, просп Плеханова № 91.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲞᲚᲔᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ. № 91. ᲢᲔᲚ. 5-37-38, 5-18-09.

ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.